პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 17 (18559) პარასკევი, 21 იანვარი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.



საყოველთაოდ სახელგანთქმულ ცნობილ პიროვნებათა ცხოვრებისა და საქმიანობის ჰმსახველი ყოველი დეტალი მუდამ ანდამატივით იზიდავს ხოლმე ადამიანთა ყურადღებას. და ეს მით უფრო ხელშესახებად იგრძნობა, როდესაც საქმე მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის სახელს ეხება. ამიტომაც არის, რომ მუდამ ხალხმრავლობაა მოსკოვის ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში.

ყოველდღიურად მსოფლიოს თითქმის 100 ქვეყნის ნახევარ მილიონზე მეტი წარმომადგენელი დიდი ინტერესით ათვალიერებს აქ გამოფენილ ათასობით ექსპონატს.

სურათებზე: ვ. ი. ლენინის მუზეუმი; ერთ-ერთ დარბაზში, რომლის ექსპონატები დამთვალიერებლებს სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის პერიოდში ვ. ი. ლენინის მოღვაწეობას აცნობს.

ეტკიცე კონტროლი — ელექტროენერგიის ეკონომიურ ხარჯვას!

საკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის მშრომელებმა მეთერთმეტე ხუთწლედის დარჩენილ დროში რთული და ამავე დროს მეტად საპატიო ამოცანები უნდა გადაწყვიტონ. დასახულია დაჩქარდეს ეკონომიკის განვითარების ტემპი, გადიდდეს ეროვნული შემოსავალი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მატების აბსოლუტური ოდენობა. გათვალისწინებულია გაგრძელდეს მუშაობა სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ასამაღლებლად. დაძაბული დავალებანი უნდა შესრულდეს მატერიალური დანახარჯებისა და შრომითი რესურსების შედარებით ნაკლები ზრდის პირობებში.

ეკონომიკის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაში ერთ-ერთი უმთავრესი როლი, რა თქმა უნდა, ელექტროენერგიამ უნდა შეასრულოს. იგი სახალხო მეურნეობის მამოძრავებელი ძალა და მის რაციონალურ გამოყენებას პრინციპული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში? არასახარბიელო! მართალია, ელექტროენერგიის ეკონომიურ გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა წლიური მაჩვენებელი ჯერჯერობით არ დაჯამებულა, მაგრამ ამაზე შარშანდელი თერთმეტი თვის მონაცემებიც კარგად მეტყველებს. ამ ხნის განმავლობაში გადახარჯა 9.136 ათას კილოვატსაათზე მეტი ენერგია, რისთვისაც სამრეწველო ობიექტებმა და სხვა ორგანიზაციებმა 838 ათას მანეთზე მეტი ჯარიმა გადახიხადეს!

სამწუხაროა, რომ ასეთ უყაირათობას იჩენენ რესპუბლიკის ენერგოსისტემისათვის მეტად მძიმე პერიოდში. ტემპერატურის დაცემამ, რესპუბლიკის დასავლეთ რაიონებში დიდთოვლიანობამ, ნყალსაცავებში წყლის კლებამ და სხვა ობიექტურმა მიზეზებმა ჩვენი ენერგოსისტემა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ასეთ პირობებში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თითოეული კილოვატსაათის გამიზნულად გამოყენებას, თვალისჩინივით გაფრთხილებას. შექმნილი სიტუაცია, სხვათა შორის, მშვენივრად იცოდნენ სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, სატრანსპორტო, საამშენებლო და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, მაგრამ თადარიგიანობა მაინც ვერ გამოიჩინეს.

ეს უპირველესად ეხება სასოფლო მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ხილბოსტნეულის მეურნეობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების, ცეკავშირის სისტემებში შემავალ ორგანიზაციებს. ელექტროენერგიის ხარჯვაში მომჭირნეობის გამოჩენით, პრაქტიკულად, ვერც ერთი სამინისტრო და უწყება ვერ დაიკვეხნის.

ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების საკითხებს შედამბოდველის „საქმთაავრენერგოს“ სპეციალური სამსახური, რომელმაც მარტო შარშან 600 ათასზე მეტი შემონმება მოაწყო და ამით გზა გადაუკეტა უყაირათობის მრავალ გამოვლენას. ხორციელდება აგრეთვე რეიდები ცალკეულ ორგანიზაციებსა და მთლიანად ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში. დეკემბერში, მაგალითად, შემონმდა ქ. ცხინვალის სახალხო მეურნეობის 18 ობიექტი და არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. მაგალითად, ვიბრაციული მანქანების ქარხანაში შემოწმებისას დღისით-მზისით სრულიად უმიზნოდ კაშკაშებდა ნათურები. აღმოჩნდა, რომ დღე-ღამის განმავლობაში ჩართულია 1000 კილოვატი სიმძლავრის ტრანსფორმატორი, ელექტროსაშემდუღებელო ტრანსფორმატორს არ ჰქონდა უქმი სვლის შემზღუდველი. იყო სხვა მრავალი ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის მოუგვარებელი საკითხი, რის გამოც რეიდის დღისათვის ელექტროენერგიის უყაირათო დღეღამურმა ხარჯვამ აქ ასობით კილოვატსაათი შეადგინა.

ასევე მეტ-ნაკლებად არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ რეიდის პერიოდში აგრეთვე ემალსადენების ქარხანა, ხორცის კომბინატი და სხვა ობიექტები. ძირითადი მიზეზები, რომელთა გამოც პირდაპირ ნიაგდება ელექტროენერგია როგორც ცხინვალის, ისევე თბილისის და საერთოდ რესპუბლიკის ასობით სამრეწველო საწარმოში, საამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციაში, ის გახლავთ, რომ ადგილებზე არ იცავენ მოწყობილობის მუშაობის ოპტიმალურ რეჟიმებს, საამქროებში მოქმედებს ძველი, არაეკონომიური აგრეგატები და ძრავები, მაქსიმალურად არ არის დატვირთული დანადგარები.

სკკპ XXVI ყრილობამ დაგვისახა ამოცანა სრულვყოთ სათბობისა და ენერგიის აღრიცხვის, ხარჯვის სისტემა, გავაძლიეროთ კონტროლი მათი გამოყენებისადმი, ვიბრძოლოთ მფლანგველობისა და უყაირათობის გამოვლინებათა წინააღმდეგ. ბევრმა ხელმძღვანელმა, სამწუხაროდ, არც კი იცის, რამდენი ელექტროენერგია იხარჯება მის საწარმოში ერთეული პროდუქციის დამზადებაზე. ამას, ფაქტობრივად, არავინ აღრიცხავს და, ცხადია, მხედველობაშიც არ იღებენ. უამისოდ კი რაიმე მომჭირნეობაზე ლაპარაკი ზედმეტია.. ეს უნდა გაითვალისწინონ სამინისტროებმა, უწყებებმა, გაერთიანებებმა, საწარმოების ხელმძღვანელებმა. ამ მიმართულებით საქმის მსვლელობას მტკიცე კონტროლი უნდა დაუწესონ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა.

სახალხო მეურნეობის ნებისმიერი დარგის დაგეგმარებისას ზუსტად უნდა გავითვალისწინოთ ელექტროენერგიის დანახარჯები. ამას კი საქმის ღრმა ცოდნით, მთელი პასუხისმგებლობით მიდგომა სჭირდება. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ პროდუქციის გამოშვების გეგმასა და მისთვის განკუთვნილი ელექტროენერგიის რაოდენობის ხარჯვას შორის შეუსაბამობა მძიმე ტვირთად აწვება ჩვენს ეკონომიკას, აძვირებს ნანარმის თვითღირებულებას. დარგობრივი სამინისტროები და უწყებები მათდამი დაქვემდებარებული საწარმოებისათვის ელექტრო და თბოენერგიის ხარჯვის ნორმებს თვითონ ამტკიცებენ. ეს სწორია. მაგრამ მართალია ისიც, რომ ზემოდან დაშვებული ელექტროენერგიის ხარჯვის ლიმიტები ხშირად არარეალურია, ნორმები ზოგ შემთხვევაში იმდენად გადიდებულია, რომ საწარმოს, როგორი მფლანგველობაც უნდა გამოიჩინოს, ლიმიტი მაინც ჰყოფნის. არცთუ ისე იშვიათად, ასეთ საწარმოთა ხელმძღვანელები ტრაბახობენ კიდეც „დაზოგილი“ ელექტროენერგიის რაოდენობით! ცხადია, ვინც ასე უნყებრივად ეკიდება საქმეს, მას მკაცრად უნდა მოეთხოვოს პასუხი.

უკანასკნელ ათნლეულში რესპუბლიკაში სისტემატურად დგება მწყობრში პიდრო — და თბოელექტროსადგურები. ახალი სიმძლავრეების ამოქმედება დაგეგმილია მომავალი ნლებისთვისაც. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მათთან ერთად საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი ფაბრიკები, ქარხნები, კომბინატები, სასოფლო-სამეურნეო, მეცხოველეობის კომპლექსები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები, საცხოვრებელი სახლები. ასე რომ, ელექტროენერგიაზე მოთხოვნა შემდგომში მკვეთრად გაიზრდება. ამიტომ ელექტროენერგიის საგრძნობი დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა ვისნავლოთ მისი ეკონომიური ხარჯვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნლეულს რესპუბლიკის ელექტროენერგიით მომარაგების მხრივ მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ მოსახლეობას ეს არ უგრძვნია. მიუხედავად ამისა, ჩვენი მოსახლეობის გარკვეული ნანილი კვლავინდებურად ელექტროენერგიის ურჩი მხარჯველია. მათ შესახებ ჩვენ ცალკე გვექნება საუბარი „კომუნისტის“ ფურცლებზე, სააჭაროაზე გამოვიყვანთ ყველას, ვინც ფლანგავს და იტაცებს სახელმწიფო დოვლათს, არად აგდებს ყაირათიანობას, ამით არღვევს სახელმწიფო დისციპლინას.

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძემ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ახლახან გამართულ კრებაზე აღნიშნა, რომ ახალ პირობებში, ყველგან და ყველაფერში სანიმუშო კომუნისტური წესრიგისათვის ბრძოლისას მორიგ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტულ-კომპლექსურ მიდგომას დისციპლინის განმტკიცების პრობლემებისადმი. პრობლემის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნანილი კი საერთოდ მომჭირნეობა და კერძოდ ელექტროენერგიის ყაირათიანი ხარჯვა გახლავთ.

ამიტომ დღეს სწორედ ამაზე უნდა გავამახვილოთ სამეურნეო ხელმძღვანელების, ელექტროენერგიის ყველა მომხმარებლის ყურადღება, რომ მიღწეულ იქნეს სასურველი შედეგი — ელექტროენერგია იხარჯებოდეს ეკონომიურად და დადგენილი განრიგით.



სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ თავის სხდომაზე განიხილა მთელი რიგი საგარეოპოლიტიკური საკითხები.

განიხილეს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის დელეგაციასთან და მის მეთაურთან, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარესთან ი. არაფატთან საუბრის შედეგები. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საუბარს საბჭოთა კავშირისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მოქმედების შემდგომი კოორდინაციისათვის ახლო აღმოსავლეთში. არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. პალესტინის პრობლემასთან დაკავშირებით.

მოისმინეს ინფორმაცია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების მადრიდის შეხვედრაზე საქმის ვითარების შესახებ მისი მუშაობის განახლებასთან დაკავშირებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის დ. თ. უსტინოვის ინფორმაცია, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის მორიგი სხდომის შესახებ, რომელიც პრაღაში გაიმართა.

განიხილეს საკითხი საზღვარ სამართლიან საკითხებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციის შედეგებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებსაც საფუძვლად უდევს ამ კონფერენციაზე მიღებული ახალი კონვენცია, რომელიც აწესრიგებს მსოფლიო ოკეანისა და მის სიმდიდრეთა გამოყენების ძირითად საკითხებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი 1983 წლის საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების მოწყობისათვის მზადების დამატებითი ღონისძიებების შესახებ. მიეცემულია მითითებები განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება, რომლებიც უზრუნველყოფს მინდვრის სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარებას.

სხდომაზე განიხილეს ზოგიერთი სხვა სახალხო-სამეურნეო საკითხი.

ავამოქმედოთ რეზერვები

სამტრედიის რაიონის მშრომელთა 1983 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

ტექნიკური პროგრესის სრულყოფის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, საწარმოო რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედებას შედეგად სამტრედიელი მშრომელები მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის გეგმას 25 დეკემბრამდე შეასრულებენ და გეგმის გადამეტებით 3 მილიონი მანეთის საბრუნველო პროდუქციას გამოუშვებენ. ყოველივე ამას, ძირითადად შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიაღწევენ. საგეგმოსთან შედარებით 1,5 პროცენტით გაიზრდება უმაღლესი ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წილი გამომშვებულ საერთო პროდუქციაში, 1,2 პროცენტით გადიდდება შრომის ნაყოფიერება, 0,5 პროცენტით შემცირდება გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება და შესამჩნევად იკლებს წუნი და ზარალი, რაც მრეწველობას 450 ათას მანეთი ზეგეგმითს მოგებას მისცემს.

სამრეწველო ორგანიზაციებში უმკაცრესი მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებით 800 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 600 ტონა პირობითი სათბობი დაიზოგება. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის შესრულდება. მშენებლობაზე შრომის ნაყოფიერება 1 პროცენტით მოიმატებს, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება შემცირდება 0,5 პროცენტით, დაიზოგება 130 კუბური მეტრი ხე-ტყე, 170 ტონა ცემენტი, 30 ტონა ლითონი. რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელების შედეგად 140 ათასი მანეთით შემცირდება სამშენებლო სამუშაოთა ღირებულება, ობიექტები საექსპლოატაციოდ გადაეცემა მხოლოდ „კარგი“ შეფასებით.

რკინიგზის სამტრედიის განყოფილების კოლექტივი გეგმებს ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით 26 დეკემბრისათვის შეასრულებს. დაჩქარდება ვაგონების ბრუნვა, გაიზრდება ლოკომოტივების საშუალო სადღეღამისო მწარმოებლობა.

ავტოსატრანსპორტო საწარმოები ტვირთზიდვისა და ტვირთბრუნვის გეგმას 26 დეკემბრისათვის შეასრულებენ და გადაზიდავენ 15 ათას ტონა ზეგეგმითს სახალხო-სამეურნეო ტვირთს. გეგმის გადამეტებით გადაიყვანენ 170 ათას მგზავრს.

სოფლის მეურნეობის მუშაკები კვლავ მთელი მონდომებით იბრძოლებენ ყველა დარგის რენტაბელობის დონის ასამაღლებლად, განუხრელად დანერგავენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, ფონიერულად გამოიყენებენ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს, ორგანულ და მინერალურ სასუქებს, აითვისებენ ახალი მიწის ფართობებს, აგროწესების დაცვით სანიმუშოდ მოუვლიან ნათესებსა და ნარგავებს, ძალდაუტანებლად, ისე, რომ საშუალოდ ჰექტარზე მიღონ 30 ცენტნერი მარცვლეული, 160 ცენტნერი ბოსტნეული; აწარმოებენ 3.100 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს; სახელმწიფოს მიჰყიდიან 2.500 ტონა ხორცს, 4.150 ტონა რძეს, 1.650 ტონა მარცვლეულს, 2.100 ტონა ბოსტნეულს, 52 ტონა ამრეზომის პარკს და სხვა.

კულტტექნიკურ სამუშაოებს შეასრულებენ 50 ჰექტარზე; წესრიგში მოიყვანენ და მოარწყავენ 8.100 ჰექტარ სავარგულს, საკვებ კულტურებს დათესავენ 3.400 ჰექტარზე, საზოგადოებრივ სექტორსა და მოსახლეობაში გაასუქებენ 3.000 ღორს; სანაშენე დანიშნულებისათვის მოსახლეობას მიჰყიდიან 1500 სულ კარგი ჯიშის გოჭს. ერთ საფუძველ ძროხაზე მიიღებენ 1.800 კილოგრამ რძეს.

შეალედური კულტურები დაითესება 1.500 ჰექტარზე, კომპლექსური მექანიზაციით დამუშავდება 1.000 ჰექტარი სიმინდის ნათესები და 100 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. საექსპლოატაციოდ გადაეცემა 400 სულისათვის გათვალისწინებული კომპლექსი და 6.000 სული ღორის სასუქებელი კომპლექსი; 500-სულიან ფერმაში დამატებით დაინერგება კომპლექსური მექანიზაცია, ხოლო 400 ფუთის ტევადობის სადგომებში ელექტრომექანიკური წველა.

ვალდებულებანი მიღებულია სამტრედიის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

ფესრიგს მოითხოვს მუშური სინდისი

ეკრომა ჩემი სულიერი მოთხოვნილებაა

მახსოვდება 1933 წლის ოქტომბერი, პირველი ქართული ლითონი რომ გადმოვიდა ღუმელს ცხაურიდან. მის გამოდნობაში ჩემი წვლილიც იყო. მას შემდეგ თითქმის ნახევარმა საუკუნემ განვლო და დაიმე ვერ ველევი მეტალურგის რომანტიკულ პროფესიას.

გასახსენებელი სხვაც ბევრი მაქვს. ომის უმძიმეს წლებში ხშირად გახანგრძლივებული ცვლებით ვმუშაობდით. ეცეცხთან ქიდლეში გამობრძმედილ ვაჟკაცებს გვერდით გვედგნენ 16-17 წლის პირტიველ ბიჭები და ტოლს არ გვიდებდნენ მუშაობაში. სწორედ იმდროინდელი ახალგაზრდები არიან დღეს საქვეყნოდ ცნობილი მეტალურგები — სოციალისტური შრომის გმირები კ. მდივანი, გ. ნანიტაშვილი, ჩვენი საამქროს ახლანდელი პარტბიუროს მდივანი ზ. ბუცხრიკიძე და მრავალი სხვა. მე კი ისევ რიგითი მდნობელი ვარ. ასეც უნდა იყოს — „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასო“. მართლაც რომ, საამაყოა ასეთი შემცვლელი თაობის აღზრდა.

ძველი თაობის მუშაკაც ხელში კალამი ამოეკინა შრომისა და საწარმოო დისციპლინის დაცვის აუცილებლობის შესახებ შექმნილმა ფართო მსჯელობამ. პარტია გვასწავლის, რომ რაც უფრო კარგად ვიმრომებთ, მით უფრო კარგად ვიცხოვრებთ. ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგს ამის შესწავლა სჭირდება. განა გასაგები არ უნდა იყოს ის, რომ წუთებისა და გრამების დანაკარგები საათების, დღეების, თვეების და ტონების განიავებას ნიშნავს?

ქართველი ავიამშენებლების სანაქებო საქმეების ამბავი ბევრი მსმენია. მათ აქვთ მორალური უფლება, მოუწოდონ რესპუბლიკის მშრომელებს სანიმუშო დისციპლინის დამყარებისათვის, ახალი მიჯნების მიღწევისათვის.

შთამბეჭდავი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის სიტყვა საავიაციო ქარხნის კრებაზე. ვუსმენდი მის სიტყვას და თვალწინ წარმომიდგა ჩვენი საწარმოს, ჩემი საამქროს მუშაობის ავ-კარგი, შრომისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევის ფაქტები, რომელთა აღმოფხვრა მნიშვნელოვანი რეზერვების გამოვლენის შესაძლებლობას მოგვცემდა.

ძველი თაობის მეტალურგებს მართლაც გვაღელვებს ზოგიერთი უდისციპლინო მუშის საქციელი. ან კი როგორ არ გეწყინება, რომ შენ გვერდით მომუშავე თავისი უდისციპლინობით ხელს უშლის წარმოების კოლექტივს საბოლოო მაღალი შედეგების მიღწევაში. მე მინდა მოვიყვანო ფაქტები ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 1 სადნობი საამქროს მუშაობიდან. შარშან ჩვენთან იყო საწარმოო და შრომის დისციპლინის დარღვევის 40 შემთხვევა, გაცდა 200 კაც-საათი. ამან დაღი დაასვა წლიურ შედეგებს. მართალია, ლითონის გამოდნობის დავალება 565 ტონით გადავამეტეთ, ელექტროენერგიაც დავზოგეთ, მაგრამ ვერ შევასრულეთ შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა, დავხარჯეთ ზედმეტი 527 ტონა მანგანუმი და 820 ტონა რკინის მადანი.

რა თქმა უნდა, უკეთესი მაჩვენებლები გვექნებოდა, ყველას რომ მონდომებით, პატიოსნად ეშრომა. როგორც საწარმოს მუშა, ჩემს თავს უფლებას ვაძლევ მკაცრად მოვიხსენიო ზეინკალი ბ. წაქაძე, რომელმაც 9 დღე გააცდინა უმიზეზოდ, მას არც მისი კოლეგა ს. საღარეიშვილი ჩამორჩა მან რვა დღით მიატოვა წარმოება. მართალია, მათ მიმართ მიიღეს ადმინისტრაციული ზომები — გამოეცხადათ საყვედურები, მაგრამ როგორც ჩანს, სხვებისათვის ჭკუის სასწავლებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. უდისციპლინოთა სია არ შემცირებულა. ცალკეულ დღეებში სამუშაოზე გამოუცხადებლობით მუშაობა გაურთულეს თანამოსაქმეებს მდნობელებმა ლ. ჩიტორელიძემ, კ. ცქიფურაშვილმა, რ. რიყაბაძემ, ე. ძაბარაძემ, ხოლო ს. ეგანოიძე მთვრალი მობრძანდა აგიზგიზებულ ელექტროღუმელებთან.

არის ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის ფაქტებიც. ერთი წელია საამქროში მწყობრიდან გამოვიდა მსხვილფრაქციული კოქსის სამსხვრევი მანქანა. კოქსის მსხვილი ფრაქციები შედარებით გვიან ერთვება ტექნოლოგიურ პროცესში და იწვევს ელექტროენერგიის გადახარჯვას. სწორედ ამის შედეგია, რომ ახალი წლის პირველ დეკადაში ნახევარ მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია გადავხარჯეთ და ლითონის გამოუნობის დავალების შესრულებას 31 ტონა დავკელეთ.

საშემსრულებლო დისციპლინა მოწოდების სიმაღლეზე რომ ყოფილიყო, ეს არ მოხდებოდა. პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მკაცრად გავაკრიტიკეთ ქარხნის მექანიკური სამსახურის უფროსი დ. ჯაფარიძე. მას წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ აღედგინა კოქსის სამსხვრევი დანადგარი, მაგრამ ორად აგდო პარტიული კრების მოთხოვნა. სულ მალე ამ საკითხზე ქარხნის პარტიული კომიტეტი იმსჯელებს და შესაფერის გადაწყვეტილებასაც მიიღებს.

ზესტაფონელ მეტალურგებს ეს არ გვეკადრება. თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის მამართვა რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი „სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან, ყველგან და ყველაფერში!“ — ყველას საბრძოლო მოწოდებად იქცა. ჩვენს საამქროშიც ვიმსჯელეთ მის შესახებ და გამოვთქვით ერთსულოვანი რწმენა, რომ მუშური სინდისით შეასრულებთ პარტიისა და ქვეყნის მიერ დასახულ ყველა ამოცანას.

ვ. ხუჯაძე,
ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელი, სოციალისტური მეტალურგი.

მომსახურების სფეროს ეხმარება დისციპლინა

ფეხსაცმლის შესაკეთებლად ჩაბარება, ატელიეში ახალი კაბის შეკვეთა, ტელევიზორის შეკეთება... ამ საკითხების გადაწყვეტა ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებლებისათვის საკმაოდ რთული პრობლემა გახდა. მომსახურების საწარმოთა მუშაობის რეგლამენტი ისეთია, რომ შემკვეთები საყოფაცხოვრებო საკითხების მოსაგვარებლად ხარჯავენ არა მარტო თავისუფალი, არამედ სამუშაო დროის მნიშვნელოვან ნაწილს.

როგორც „პრავდის“ 11 იანვრის მოწონავე სტატიაში იყო აღნიშნული, საქართველოში საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა უმრავლესობა 17-18 საათზე იკეტება.

სამართლიანი კრიტიკაა, აღიარეს ამ სამსახურის მუშაკებმა და მხარი დაუჭირეს თბილისელ ავიამშენებლებს. გადაწყვიტეს იმუშაონ ლოზუნგით „სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან, ყველგან და ყველაფერში!“

...საღილის შესვენების დროს „თბილისინდტანსაცმლის“ გაერთიანების ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის № 17 ატელიეს ერთერთ საამქროში გაიმართა კონკრეტული, გულახდილი საუბარი დისციპლინის, ორგანიზებულობის შესახებ. პასუხი მოსთხოვეს გამცდენებსაც, და იმათაც, ვინც ვადაზე არ ასრულეს შეკვეთებს. ოსტატებმა ერთსულოვნად აღიარეს, რომ მათს კეთილსინდისიერ მუშაობაზე დამოკიდებულია ადამიანების განწყობილებაც, შრომითი შემართებაც, ისიც, თუ როგორ განაწილდება შემკვეთის დრო, კერძოდ, სამუშაო დროც. და მაშასადამე, საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა შრომის დისციპლინაზე დამოკიდებულია სხვა დარგების საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაკთა შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინაც.

ატელიეს მუშებმა მიიღეს მიმართვა საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგის ყველა მშრომელისადმი, და მოუწოდეს მტკიცე სახელმწიფოებრივი წესრიგი დამყარონ თითოეულ სამუშაო ადგილზე, მტკიცედ იბრძოლონ მაღალი ორგანიზებულობის, აქტიურობისა და მხნდობილ უბანზე თითოეულის პასუხისმგებლობისათვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკის პრესტიჟის ამაღლებისათვის.

* * *

...„ შეურიგებელი ვიყოთ დისციპლინის დამრღვევებისადმი“ — აღნიშნულია საქართველოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრალური სახლის საგალანტერიო საამქროში გაკრულ ლოზუნგზე. აქ სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ გაიმართა კრება, რომელმაც განიხილა თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის თაოსნობა და მომსახურების სფეროში მომუშავე ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის №17 ატელიეს მუშაკთა მიმართვა რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო სამსახურის ყველა მშრომელისადმი.

— სახელმწიფო დისციპლინის მაღალი დონე, — თქვა ტელევიზორების მექანიკოსმა გ. კაზარიანმა, — ჩვენთვის ის გახლავთ, რომ მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ ჩვენთან მოსული ადამიანების მოთხოვნილება, არა მარტო მთლიანად და გადაჭარბებით შეკვსილოთ დავალანი, არამედ უზრუნველყოთ მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების მაღალი ხარისხიც.

— „ნებადართული გაცდენები“ საწარმოებში, — აღნიშნა თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის მუშამ გ. მეტონიძემ, რომელიც კრებას ესწრებოდა, — ნორმა იმიტომ გახდა, რომ მუშებს ზოგიერთი თავისი საყოფაცხოვრებო საკითხის მოგვარება მხოლოდ სამუშაო დროს უხდებათ.

სერვისის სამსახურის მუშაკებმა გაითვალისწინეს, რომ ეს ერთადერთი ხარვეზი არ არის ატელიეებისა და სახელოსნოების მუშაობის რეგლამენტში, და გადაწყვიტეს, რომ „საქტელერადიომომსახურების“ გაერთიანების ყველა საწარმომ იმუშაოს 10 საათიდან 20 საათამდე ყოველდღე სრულია გრაფიკით, ხოლო ფეხსაცმლის შესაკეთებელ პუნქტებში დასვენებისა და დღესასწაულის დღეებში მოეწყობა ოსტატების მორიგობა. ვადამდე ჩადგება მწყობრში საქართველოს საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთების გაერთიანების საწარმოება მუხიანისა და ვაზისუბნის ახალ საცხოვრებელ მიკრორაიონებში. რადიოტელეაპარატურის, რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ავეჯის რემონტის დროს მთავარი გახდება პრინციპი „დღეს — დღეისათვის“.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრალური სახლის მუშაკებმაც მიიღეს მიმართვა, რომელშიც რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების მშრომელებს მოუწოდეს განამტკიცონ არა მარტო პირადი დისციპლინა, არამედ ერთდროულად აღზარდონ კოლექტივის თითოეული წევრი ნაკლოვანებებისა და ჯარღვევებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, ჩამოუყალიბონ მათ ცხოვრების ყველა დარგში ნებისმიერი ნეგატიური მოვლენის საზოგადოებრივი გაკიცხვის გრძნობა. (საქინფორმი).

წარმატების საწინდარი

რესპუბლიკის შრომითი კოლექტივები მხარს უჭერენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მშრომელთა ინიციატივას „სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან, ყველგან და ყველაფერში!“. ქარხნებისა და ფაბრიკების, სატრანსპორტო ორგანიზაციებისა და მეურნეობების კოლექტივების მიერ 1983 წლისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებში, რომლებსაც ახლა იღებენ, ყოველი მეხლი, ყოველი პირობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების საკითხებთან.

თითოეული პასუხს აგებს ყველასათვის, ყველა — თითოეულისათვის! — ასეთი დევიზით გადაწყვეტეს ამიერიდან იმუშაონ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, თბილისის „ტრანსავტომობილ“ საწარმოო გაერთიანების მშრომელებმა. მათ განიხილეს და სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს ხუთწლედის მესამე წლისათვის და პირველ ადგილზე წამოსწიეს დისციპლინის განმტკიცების, ყოველ ჯგროსნ, სამუშაო ადგილზე ორგანიზებულობის ამაღლების კონკრეტული ღონისძიებები.

კოლექტივმა ერთსულოვნად დაადგინა განუხრელად განახორციელოს სახელმწიფოებრივ ვალდებულებანი. გადაწყვეტეს შრომის საშემსრულებლო და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობა მიიჩნიონ ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებლად გაერთიანების ქვეგანაყოფებს შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების დროს. ყოველ გაცდენას, სამ

დანაშაულის პროფილაქტიკა მთავარი მიმართულებაა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

წესრიგისათვის ზრუნვა მთელი საზოგადოების, თითოეული ჩვენგანის წმიდათაწმიდა ვალია

ᲬᲔᲡᲘ, ᲠᲘᲒᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲕᲔᲢᲐᲫᲔ,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი.

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, პატივცემულ ნუგზარ ფოფხაძის წერილმა „რწმენით, გულით და სუფთა ... ხელებით...“, რომელიც შარშან გაზეთ „კომუნისტის“ 26 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა და მართლწესრიგის განმტკიცების აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი, ფართო მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

წერილში კარგად არის წარმოჩენილი ის სასიკეთო ძვრები, რომლებიც ამ ათიოდე წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით წამოწყებულ საერთოსახალხო ლაშქრობას მოჰყვა რესპუბლიკაში მორალურ-ზნეობრივი კლიმატის გაჯანსაღებისათვის, აქვე გამოთქმულია გულისტკივილი იმის გამო, რომ ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში ჯერ ისევ „შემორჩა ბევრი უმსგავსობა, რომ კვლავ ვაწყდებით სხვადასხვა დანაშაულობათა და უხეშ დარღვევათა ფაქტებს, რაც პატიოსანი მშრომელი მოსახლეობის გულისწყრომას იწვევს.

ავტორი კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამს ადმინისტრაციული ორგანოების, კერძოდ, შინაგან საქმეთა ორგანოების მისამართით, ჩამოთვლის ისეთ ნაკლოვანებებს, რომლებიც სიმწვავესა და ეფექტს უკარგავს დამნაშავეობათა წინააღმდეგ ბრძოლას.

ჩვენ არ გვინდა ამ ჩვენმა წერილმა პოლემიკის ხასიათი მიიღოს, რადგან ვფიქრობთ, სადავო და საკამათო აქ არაფერია: წესრიგის დაცვა მთელი საზოგადოების, თითოეული ჩვენგანის წმიდათაწმიდა ვალია — ბოროტებას მთელი ძალებით, ერთიანი ფრონტით უნდა შევუტაოთ და იმის გამბედაობაც უნდა გვეყოს, გულახდილად ვაუწყოთ საზოგადოებას ჩვენს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, რათა დროულად აღმოვფხვრათ ისინი და შემდგომში კიდევ უფრო მეტი სიმძაფრე შევძინოთ ამ შეტევას.

წერილის გამოქვეყნება მეტად დროულ, საჭირო და სასარგებლო საქმედ მიგვაჩნია და სწორედ იმის გამო, რომ მართლწესრიგის დაცვის საქმეში საკმაოდ ბევრი ნაკლოვანებანი და გადაუჭრელი პრობლემები დაგვიგროვდა, გვსურს ამ თემაზე ერთხელ კიდევ გავესაუბროთ გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს — გავაცნოთ მათ, თუ რა კეთდება ნაკლოვანებათა დასაძლევად, ხოლო იქ, სადაც მარტოოდენ შინაგან საქმეთა ორგანოების მეცადინეობა საკმარისი არ იქნება, დახმარების ხელი ვთხოვოთ საზოგადოებრიობას. გზადაგზა შინაგან საქმეთა ორგანოების მისამართით გამოთქმულ ზოგიერთ შენიშვნასაც შევეხებით, მაგრამ ამას კრიტიკისაგან თავის არიდებად ნურავინ ჩამოგვართმევს.

ქურდობა მეტად შემაშფოთებელი, ამასთანავე ორმაგ შეურაცხმყოფელი დანაშაულია მშრომელი საზოგადოებისათვის, სწორედ ამიტომაც საზოგადოებრივი აზრი ვერ ეგუება ამ მახინჯ გამოვლინებებს. ამას მოწმობს ათასობით პატიოსანი მშრომელის გამოხმაურება სატელევიზიო გადაცემებზე — „კაკაბეთის ზარები“, „რისხვით შეკრული მუშტი“, „ტალღა — შემდგარი ყალყზე“, „ღალატი“ და სხვა, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაწილეობით მომზადდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ აღნიშნული საკითხი არაერთგზის განიხილეს და შეიმუშავეს პრაქტიკული ღონისძიებანი ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. გაწსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის მაისის ბრძანებულებას ქონებრივი დანაშაულობებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

ბოლო დროს მნიშვნელოვანი ორგანიზაციული ღონისძიებანი განხორციელა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გასაადიდებლად. შემუშავდა სპეციალური პროგრამა სისხლის სამართლის სამძებრის მუშაკების ოპერატიულ-პროფესიული ოსტატობის ასამაღლებლად. შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატში და ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოში შეიქმნა სპეციალური ქვეგანაყოფები უშუალოდ ბინის ქურდობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ანალოგიური ქვეგანაყოფები იქმნება პერიფერიული ორგანოების სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურებთან.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე დედაქალაქში განსაკუთრებით გახშირდა ავტომანქანების ქურდობა, თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოსთან შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, ხოლო ქალაქის ყველა რაიგანყოფილებას დაემატა თითო ოპერატიული მუშაკი, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ავტომანქანების გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით იმუშავებენ.

რაკი ავტომანქანების გატაცებაზე ჩამოვარდა სიტყვა, არ შეგვიძლია გულისტკივილით არ დავძინოთ, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლას გაცილებით მეტი ეფექტი ექნებოდა, თვით ზოგიერთი დაზარალებული რომ არ გვიმლიდეს ხელს; ისინი მილიციის გვერდის ავლით ურიგდებიან გარეშეულს — თანხმდებიან მნიშვნელოვანი თანხა გაიღონ თავიანთივე ავტომანქანის გამოსასყიდად. ეს კი რა თქმა უნდა, ახალი დანაშაულისაკენ უბიძგებს ბოროტმოქმედებს. სწორედ აქ გვჭირდება საზოგადოებრიობის დახმარება. საჭიროა უკლებლივ ყველა დაზარალებულმა პირი შეკრას და გადაჭრით თქვას უარი ამგვარ მავნე გარიგებაზე; ასეთ პირობებში ჩვენ მტკიცე გარანტიას ვიძლევით, რომ არც ერთი დანაშაული აღარ დარჩება გაუხსნელი და იგი, თანდათან, მინიმუმამდე შემცირდება.

საერთოდ, დამნაშავეობის კერძოდ კი ქურდობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა დღეს უკვე შეუძლებელია უახლეს ტექნიკურ მიღწევათა გამოუყენებლად. ამ მხრივ ბევრი რამ შეიცვალა ბოლო დროს შინაგან საქმეთა ორგანოებში — განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურში დღეს ჩაყენებულია უახლესი კრიმინალისტური ტექნიკა — რადიოკავშირი, სიგნალიზაცია, ელექტროგამომთვლელი და სატელევიზიო აპარატურა.

ჩვენ მიერ განხორციელებულ ამ ღონისძიებებს ამაოდ არ ჩაუვლია. საკმარისია ითქვას, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე ბინის ქურდობა რესპუბლიკაში თითქმის 30 პროცენტით შემცირდა. ამასთანავე ვაუმჯობესდა აღნიშნული დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს მოყვანილი მონაცემები შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა თვითკმაყოფილებას იწვევდეს. ჩვენ უდიდესი პასუხისმგებლობით გვაქვს შეგნებული, რომ მდგომარეობა ჯერ კიდევ საკმაოდ დაძაბულია და ბევრი შრომაა საჭირო რათა მშვიდ ვითარებას მივაღწიოთ, ამისათვის კი მარტოოდენ შინაგან საქმეთა ორგანოებს მეცადინეობა, რაგინდ უზადოდ უნდა იყოს იგი, საკმარისი არ არის.

დიდი მნიშვნელობა აქვს ქურდობის ხელმეწყობი მიზეზების აკვლევას და სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებას. როგორც სტატისტიკა მოწმობს, ქურდობის ჩამდენ პირთა უმრავლესობა ახალგაზრდები არიან, მათ შორის არასრულწლოვანია 24 პროცენტი, ხოლო თვრამეტიდან ოცდაათს წლამდე ასაკის უმაწვილები 31,8 პროცენტს შეადგენენ. ეს ის ასაკია, როცა ჯერ კიდევ მყარად ჩამოყალიბებული და გამოკვეთილი არ არის ახალგაზრდა მოქალაქის როგორც მორალურ-ზნეობრივი სახე, ასევე სოციალური და პროფესიული ორიენტაცია, საღ აზრს ხშირად სჭარბობს მსუბუქი განწყობილება და ზერელე, ემოციური შთაბეჭდილებანი, რის გამოც ისინი შედარებით იოლად ექცევიან მავნე გავლენის ქვეშ. ნათქვამი უკვე მიგვანიშნებს, თუ ძირითადად საითკენ უნდა იქნეს გადატანილი აღმზრდელობით-პროფილაქტიკური მუშაობის სიმძიმის ცენტრი და საზოგადოების აქტიური ზრუნვა.

ჩვენი აზრით, ახალგაზრდობის ერთი ნაწილის დანაშაულებრივი მოქმედების მიზეზები სწორედ აღზრდის პროცესში დაშვებული შეცდომებია, ხოლო პასუხისმგებლობა ამისათვის თანაბრად ეკისრებათ ოჯახს, სკოლას, მთელ საზოგადოებას. ახალგაზრდობას სულიერი საზრდო ესაჭიროება და თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ვაზიაროთ ისინი სიკეთის, სილამაზის, ადამიანურობის და ჰუმანიზმის მაღალ იდეალებს, დანაკლისს სულ სხვა საეჭვო არზებითა და საშუალებებით შეივსებენ.

უმთავრესი და უმოკლესი გზა მიზნის მისაღწევად ახალგაზრდობის შრომითი აღზრდაა. მშობლები, რომლებიც ფიზიკურ შრომას არიდებენ შვილებს, გამოუსწორებელ შეცდომას სჩადიან, რადგან შრომის სიყვარული, შრომითი ჩვევები სწორედ აღრეულ ასაკში უნდა ჩაეუნერგოთ ბავშვებს, თორემ შემდგომ გვიან იქნება. ადრე უკვე გამოვთქვით ამგვარი მოსაზრება და ახლაც გავიმეორებთ: ჩვენი ხალხის შესანიშნავი ეროვნული თვისება, განათლებისადმი ლტოლვა, ზოგიერთი ვაიშმობლის წყალობით, აშკარად ნეგატიურ ხასიათს იძენს. ჯერ კიდევ სკოლის დამთავრებამდე იწყება რეპეტიტორებისა და პროტეჟების ძებნა. თითოეული ჩვენგანი მოწმეა, რა ტრაგედიატრიალებს ოჯახებში, როცა ყმაწვილი უმაღლეს სასწავლებლის მიღმა რჩება. მერე რამოდენიმე წელი ზედიზედ და გაუთავებლად მიაქვთ იერიშები სხვადასხვა ქალაქის უმაღლეს სასწავლებლებზე, რათა როგორმე ფაბრიკა-ქარხნებს და საკოლმეურნეო მინდვრებს აშორიდონ შვილი. განა არ იმალება ამ ფაქტში ფიზიკური შრომისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება? შარშან შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სხდომაზე გამოსვლისას ჩვენმა სასიქადულო მეცნიერმა და მამულიშვილმა პატივცემულმა ავლიპი ზურაბაშვილმა ბრძანა: სამწუხაროდ, შვილები გადავიჩვეთ ფიზიკურ შრომას და ეს არის ბევრი ჩვენი უბედურების მიზეზი და სათავეო.

დიახ, სწორედ უსაქმურობა და მუქთახორობა კვებავს და ასაზრდოებს, ძირითადად, ისეთ მძიმე დანაშაულს, როგორიც ქურდობაა. უსაქმურობის წინააღმდეგ კი საკმაო ეფექტიანობით ვერ ვიბრძვით. მართალია შინაგან საქმეთა ორგანოები ყოველწლიურად ასობით დროებით უმუშევარს და მუქთახორას ავლენენ და აღრიცხავენ, მაგრამ მათი მაქსიმალური შრომითი დასაქმება მაინც არ ხერხდება, ანდა ხშირად ამას ფორმალური ხასიათი აქვს. ეს მნიშვნელოვანი საკითხია და საჭიროა ამ საქმეში მეტი დახმარება გაგვიწიონ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა.

მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას ხელს შეუწყობს სპეციალურ შრომა-აღმზრდელობითი პროფილაქტორიუმების შექმნა. ამ ახალი ტიპის აღმზრდელობითს დაწესებულებაში სასამართლოს გადაწყვეტილებით მოთავსდებიან ის პირნი, ვინც ბოროტად არიდებს თავს შრომას. აღნშნულ დაწესებულებაში ეს პირნი მიიღებენ სპეციალობას, ჩაებმებიან შრომითს პროცესში. შრომა-გასწორების კოლონიებისაგან განსხვავებით, აქ ისინი დაზღვეული იქნებიან სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტების მავნე გავლენისაგან.

სამი წელია ამგვარი პროფილაქტორიუმის შექმნას, სხვა რესპუბლიკების მაგალითის გათვალისწინებით დაიენებთ მოვითხოვდით. საქმის მოგვარება ჭიანურდებოდა იმის გამო, რომ ზოგიერთები პრინციპულად არ გვეთანხმებოდნენ. ამჯერად საკითხი უკვე დადებითად გადაწყდა. საჭიროა ზემდგომმა ორგანოებმა დროულად გამოყონ სათანადო სახსრები საწარმოო ბაზის შესაქმნელად.

ქურდებისა და ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლის ნაკლები ეფექტიანობის ერთ-ერთ მიზეზად ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს არ შეუგზავნიან გულჩვილი ახლობლები და კოლეგები“.

აქ ერთი შენიშვნა გვინდა გამოვთქვათ:

სასჯელის მოსახდელად პატიმართა მკაცრი კლიმატის ზონაში, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ განწესების საკითხის გადაწყვეტა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაში არ შედის. თანახმად არსებული წესისა, დამნაშავე იმავე რესპუბლიკაში უნდა იხდიდეს სასჯელს, სადაც მან დანაშაული ჩაიდინა.

ნათქვამი როდი ნიშნავს, თითქოს შრომა-გასწორების დაწესებულებებს არ გააჩნდათ რეჟიმის დამრღვევ პატიმრებზე ზემოქმედების სხვა უფრო ეფექტიანი საშუალებანი, და, ცხადია, არც მათი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ განწესებაა გამორიცხული. მარტო შარშან, მაგალითად, სათანადო წესების დაცვით რამდენიმე კაცი გაიგზავნა სასჯელის მოსახდელად მკაცრი კლიმატის ზონაში და განლაგებულ ლაბორატორიებში; სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საქმეთა სამინისტროს ლაბორატორიებიც; სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული სოციალისტური საკუთრების დაცვის ეკონომიკურ-სამართლებრივი პრობლემების შემსწავლელი ცენტრალური ლაბორატორიის საქართველოს ფილიალი.

დღეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეს 21 მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი ემსახურება.

შარშან, წლის ბოლოს ჩვენივე ინიციატივით მოვაწყეთ სოციოლოგიური კვლევა მოსახლეობაში მილიციის ავტორიტეტისა და შინაგან საქმეთა ორგანოების სხვადასხვა სამსახურის საქმიანობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მოსახლეობა, ძირითადად, დადებითად აფასებს მილიციის საქმიანობას, თუმცა საკმაოდ ბევრი კრიტიკული შენიშვნაც გამოითქვა. კვლევის შედეგების გათვალისწინებით დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი.

ჩვენ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კადრების სწორ შერჩევასა და მაღალი მორალურ-ზნეობრივი თვისებებით მათს აღზრდას. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში მილიცია ინტელექტუალურად საგრძნობლად გაიზარდა. სტატისტიკის ენით ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს შინაგან საქმეთა ორგანოების პირადი შემადგენლობის 95 პროცენტს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება აქვს, ხოლო რიგოსანთა 92,0 პროცენტს — საშუალო განათლება.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ პარტიული ბირთვის განმტკიცებას. საამუშაროროდ, თაობათა ცვლის შედეგად კომუნისტების რაოდენობა შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა შორის ბოლო წლებში შემცირდა. ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონები, სადაც რამოდენიმე წელია სკკპ წევრად არ მიუღიათ შინაგან საქმეთა ორგანოების არც ერთი მუშაკი. არადა, დღეს განსაკუთრებული სიმწვავით დგას საკითხი შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, კერძოდ, მის ქვედა რგოლებში პირველადი პარტიული ორგანიზაციების ავანგარდული როლის გაძლიერების შესახებ, რაც შეუძლებელია, თუ მათი რიცხვი არ გაიზარდა.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი სიტყვა უნდა თქვან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა. რაღა თქმა უნდა, ჩვენ უკვე ვხედავთ და მივესალმებით იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკის პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ მეტად აქტიური პოზიცია დაიკავეს და ოპერატიულად ეხმაურებიან მართლწესრიგის განმტკიცების ამა თუ იმ მომწიფებულ პრობლემას.

გვინდა აქვე ვაუწყოთ საზოგადოებრიობას, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით განახლდა გაზეთი „მებრძოლი გუშაგის“ გამოცემა. ახალი წლის დამდეგს გამოვიდა ამ გაზეთის პირველი ნომერი. ვიმედოვნებთ, რომ „მებრძოლი გუშაგი“ ღირსეულად განაგრძობს ადრინდელ ტრადიციებსა და გახდება იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის საიმედო ტრიბუნა, რომელიც ხელს შეუწყობს შინაგან საქმეთა ორგანოების ბრძოლისუნარიანობის შემდგომ ამაღლებასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას დამნაშავეობისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

დასასრულ, გვსურს ერთხელ კიდევ, მკაფიოდ გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება პატივცემული ნუგზარ ფოფხაძის წერილისადმი „რწმენით, გულით და სუფთა ხელებით...“ და აღვნიშნოთ, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების მისამართით აქ გამოთქმულ კრიტიკას აღვიქვამთ როგორც ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის გამოხატულებას, როგორც კეთილმოსურნე, მეგობრულ შენიშვნებსა და რჩევას, რომელთა მიზანია სიკეთისა და პატიოსნების დამკვიდრება, რესპუბლიკაში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცება.

ნათქვამს ისღა შეგვიძლია დავძინოთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია, პარტიული კომიტეტი, მთელი პირადი შემადგენლობა აღსავსენი არიან რწმენით, საბრძოლო სულისკვეთებით და მზად არიან ასეთივე შემართვენი, ძალ-ღონის დაუზოგავად კვლავაც ერთგულად ემსახურონ საქართველოს მშრომელებს, მედგრად ებრძოლონ ყოველგვარ ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებს, შეუქმნან ჩვენს ხალხს ცხოვრების მშვიდი გარემო და მაღალეფექტიანი შემოქმედებითი შრომის პირობები.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ: ᲬᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. აქაურმა მევენახეებმა შარშან, არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს. საგებმო 8.100 ტონის ნაცვლად 10.500 ტონა ყურძენი მოკრიფეს.

მოწინავეთა შორის არის მევენახეობის № 11 ბრიგადა (ბრიგადირი — ო. ქურციკაშვილი). აქ ვენახს 155 ჰექტარზე უკავია (ჰექტარზე საშუალოდ შარშან 12 ტონა ყურძენი მიიღეს). ახლა მომდინარეობს ვენახის სხვლა. ყოველდღიურად 3-4 ჰექტარს სხლავენ. მოწინავეობენ ქ. მელიქიშვილი და ნ. კოტორაშვილი.

ᲡᲣᲠᲐᲛᲝᲗᲘ (წინა პლანზე) კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი არსენ კობაძეე ამოწმებს მოწინავე მევენახის ქეთევან მელიქიშვილის მიერ გახსნილ ვაზს.

3. ᲒᲔᲜᲒᲘᲣᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲒᲕᲔᲒᲐ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲗᲐ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ. მ. გორგელაძე.) ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივმა ახალი ტიპის ელექტროკარი აითვისა და შეუდგა მის სერიულ გამოშვებას. ელექტროკარების რამდენიმე პარტია უკვე გაეგზავნა მომხმარებელს. ახალი პროდუქცია წინამორბედთან შედარებით უფრო სწრაფმავალი და მობილურია, მეტად შეესაბამება სამრეწველო ესთეტიკის მოთხოვნებს.

წლის დამდეგიდან ქარხანაში სხვა სიახლეც განხორციელდა. დანადგართა პარკი შეივსო ახალი, მწარმოებლური ტექნიკით, რომელიც ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, წარმოების კულტურის ამაღლებას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

სამეურნეო მექანიზმის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებით მთელი რიგი საამქროები ახლა ბრიგადული იჯარით მუშაობაზე გადავიდნენ. პირველ ეტაპზე დადგა შრომის, ტექნოლოგიური და სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვის საკითხები. აქ ყველაფერს ღონობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

ვერ გავიზიარებთ წერილის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს „ანასანკენელ ათ წელიწადში შინაგან საქმეთა ორგანოებს ავტორიტეტი შელახულიყოს. ეფექტრობთ, თითოეული ფიცის გამტეხი და მოღალატე ვაი-მუშაკი, რომელთა მსგავსი წინათაც შემოპარულან ჩვენს რიგებში და არც მომავალში ვართ დაზღვეული მსგავსი რეციდივებისაგან, ამგვარი განზოგადებული დასკვნის საფუძველს არ გვაძლევს.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ, აღნიშნა რა ჩვენს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, მთლიანობაში დადებითად შეაფასა გასულ ხუთწლედში შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობა და ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის. იგივე დასკვნები და მოსაზრებანია გამოთქმული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილში აღმინისტრაციული ორგანოების მუშაკებისადმი.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამ ათიოდე წლის წინათ, როცა რესპუბლიკაში მორალური განახლებისათვის ლაშქრობა დაიწყო, ბრძოლის ავანგარდში საქართველოს საბჭოთა მილიციაც იყო.

სწორედ მილიციის მუშაკთა ხელით დაესვა წერტილი ბევრ უმსგავსობას, ბევრმა დამრღვევმა და დანაშავემ დაკარგა მყუდრო, თბილი ადგილი, განაწყენებულთა რიცხვმა კი ამ ათ წელიწადში კარგა მოზრდილი რაზმი შეადგინა.

ჩვენ გაგებით ვეკიდებით საზოგადოების „ცეთილშოსურნე“ კრიტიკას, რაგინდ მწარეც უნდა იყოს იგი, რადგან იგი გვაფიზიწლებს და ახალ ენერგიას ვიმატებს ნაკლოვანებათა დასაძლევად, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოებრივი აზრის მდინარეს ზანდაზან იმ განაწყენებულთა ღვარძლიანი ნაკადი ამოვრეცს.

ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჯერ კიდევ ვალში ვართ რესპუბლიკის პატიოსანი მშრომელი მოსახლეობის წინაშე. ბოლომდე ვერ აღვკვეთეთ სახელმწიფო აღრიცხვიდან დანაშაულის დამალვის, სისხლის სამართლის საქმის უსაფუძვლო შეწყვეტის, მშრომელთა წერილების, საჩივრების და წინადადებებისადმი უსულგულო დამოკიდებულების, მოქალაქეებისადმი უხეშობის ფაქტები. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის აღსაკვეთად, ოპერატიულ-პროფილაქტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად. შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია და პარტიული კომიტეტი ეძებენ ახალ გზებს და მეთოდებს აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

განზრახულია მთელი რიგი ორგანიზაციულ-სტრუქტურული ხასიათის ღონისძიებათა გახორციელება სისხლის სამართლის სამძებრო, საგამოძიებო, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურებში, ფეხმოსავლელ სანიტარიულ ინსპექციის და სხვა დანაყოფებში მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად. შინაგან საქმეთა ორგანოების ქვედა რგოლების საქმიანობისადმი კონტროლისა და ზედამხედველობის გაუმჯობესების მიზნით გავაძლიერეთ კონტაქტები პარტიის შესაბამის რაიონულ კომიტეტებთან. უკვე გაიმართა პარტიის რაიკომის ბიუროს და საშინისტროს კოლეგიის გაერთიანებული სხდომები თერჯოლაში, ზესტაფონსა და საჩხერეში. პარტიის რაიკომებთან ერთად განვიხილეთ რეგიონში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების აქტუალური პრობლემები, დავსახეთ ღონისძიებანი.

მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შარშან ოქტომბერში ქ. თბილისში გამართულ შინაგან საქმეთა ორგანოების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების რესპუბლიკურ შეკრებას, სადაც დაისახა მართლწესრიგისათვის ბრძოლის საქმეში პარტიული ორგანიზაციების როლის შემდგომი ამაღლების კონკრეტული ღონისძიებანი.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური პრობლემის წარმატებით გადაჭრა დღეს უკვე შეუძლებელია მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა გაუთვალისწინებლად. ამ მხრივ უკვე გადაიდგა, პრაქტიკული ნაბიჯები: ნაყოფიერ მუშაობას ეწევა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი დანაშაულთა სოციოლოგიის და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები; სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული სოციალისტური საკუთრების დაცვის ეკონომიკურ-სამართლებრივი პრობლემების შემსწავლელი ცენტრალური ლაბორატორიის საქართველოს ფილიალი.

ბოლო ოცი ათასი ტონა ტევადობის ასეთი შენობები. ახლა საკავებზე მეურნეობათა მოთხოვნილება მთლიანად დაკმაყოფილებულია.

იმაზე, თუ როგორ ეფექტიანად ხელმძღვანელობენ ჩვენ ზონაში ამ ფრონტზე ბრძოლას, ბევრ ფაქტს ადასტურებს ის, რომ ბოლო ოცეულ ოლქებს ბოლო ოცეულ ოლქებს ბოლო ოცეულ ოლქებს

20 იანვარი

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები

საკლესიო იუწყება

სანიმუშო საწარმოს–სანიმუშო სასწავლებელი

თბილისი დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ყოველი ათი მუშიდან ექვსი № 38 ტექნიკური სასწავლებლისა და № 95 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულია. და გასაკვირი არ არის, რომ ავიამშენებელთა შრომითი დღეების რიტმით ცხოვრობენ და შრომობენ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების აღსაზრდელები. სასწავლებლების სახელიც კი მჭიდროდ არის დაკავშირებული საწარმოს ცხოვრებასთან. პირველი, ქარხანასთან ერთად დაარსებული, საბჭოთა კავშირის გმირის, მფრინავ ჭიჭიკო ბენდელიანის სახელობისაა. მეორე, ახლახან შექმნილი — თბილისის საავიაციო ქარხნის ყოფილი დირექტორის იაკობ ხვედელიანის სახელობისა.

და დღეს, როცა დიმიტროველთა სახელგანთქმულმა კოლექტივმა მოიწოდა რესპუბლიკის ყველა მშრომელს იმუშაონ დეკანეზით „სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა— თითოეულისაგან, ყველგან და ყველფერში“, საბაზო სასწავლებლების კოლექტივები ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურნენ ამ თაოსნობას.

საავიაციო ქარხნის საბაზო სასწავლებლების აქტივის კრებაზე მისმა მონაწილეებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ სახელმწიფო, სასწავლო და შრომის დისციპლინის განმტკიცება ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის შემდგომ ამაღლებას, სასწავლო პროცესის სწორ ორგანიზაციას, ახალგაზრდობის იდეურ აღზრდას.

ასობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მოამზადა № 38 ტექნიკურმა სასწავლებელმა. მის კურსდამთავრებულთა შორისაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, წარჩინებული ხარატი ტრიფონ როსტაშვილი. დღეს იგი თვითონ ზრდის ახალგაზრდობას, რესპუბლიკის დამსახურებული დამრიგებელია.

მჭიდრო, საქმიანი და მეგობრული კონტაქტები აკავშირებთ სასწავლებელსა და ქარხნის კოლექტივს. მუშები სასწავლებლის ხშირი სტუმრები არიან. მათ ახალგაზრდებს მოუწყვეს სახელოსნოები, უმართავენ პრაქტიკულ მეცადინეობებს, ტექნიკური პროგრესის მიღწევებს აცნობენ მომავალ მუშაკებს.

სასწავლებელი იღებს მხოლოდ საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდობას. როგორ შეიძლება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში შესვლა მერვე კლასის შემდეგ? ქარხნის ხელმძღვანელობამ რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტში შეიტანა წინადადება გახსნას კიდევ ერთი სასწავლებელი. ამ სასწავლებლიდან უკვე წელს ქარხანა მიიღებს შევსებას ახალი პროფესიით — სამრეწველო რობოტების გამმართველობა და მერემონტეებს.

გაიზიარეს რა დიმიტროველთა თაოსნობა, აქტივის კრების მონაწილეებმა გადაწყვიტეს მეტი ყურადღება მიაქციონ შრომისა და საწარმოო დისციპლინის, სასწავლო პროცესის ორგანიზაციის საკითხებს.

კრებაზე მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის ყველა მუშაკისადმი.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგე ბ. ბარსუკოვი. (საქინფორმი).

შეგობრობა მტკიცდება

20 იანვარს საბჭოთა კავშირში დაიწყო საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კვირეული, რომელიც ეძღვნება ინდოეთის ეროვნულ დღესასწაულს — რესპუბლიკის დღეს.

კვირეულის ფარგლებში მოსკოვში, ლენინგრადში, ტაშკენტში, ოდესაში, ირკუტსკსა და სხვა ქალაქებში გაიმართება საზოგადოებრიობის მიტინგები, კრებები და საღამოები. მრავალრიცხოვანი გამოფენები საბჭოთა ადამიანებს გააცნობს ინდოეთის ისტორიას, კულტურას, დღევანდელობას, ორი ქვეყნის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობას. გაიმართება ფილმების, მათ შორის სსრ კავშირისა და ინდოეთის კინემატოგრაფისტთა მიერ ერთად გადაღებული ფილმების ჩვენება.

კვირეულის ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოების დელეგაცია. (საკდესი).

20 იანვარი

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები

საკლესიო იუწყება

სოციალისტურ ქვეყნებში

● მონღოლეთი

მეგობრობის ცენტრი

ულან-ბატორი. მონღოლეთისა და საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის, კომუნისტურ მშენებლობაში სსრ კავშირის მიღწევათა პროპაგანდის საყოველთაოდ აღიარებული ცენტრი გახდა ულან-ბატორში საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის სახლი. ზუსტად შვიდი წლის წინათ სტუმართმოყვარულად გაიხსნა მისი კარი და ამ ხნის მანძილზე მან ფართო აღიარება და პოპულარობა შეიძინა მონღოლ მეგობრებში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. ადრე დილიდან გვიან საღამომდე აქ მუშაობენ კლუბები, სექციები, იმართება სამეცნიერო კონფერენციები, ლექციები, სხვა ღონისძიებანი, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის სახლის კოლექტივს მუშაობის პირველი დღიდან მჭიდრო კონტაქტი აქვს დამყარებული მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებასთან. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასთან, ქალაქის პარტიული და რეგოლუციური სოციალისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციებთან.

საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის სახლის საქმიანობა საინტერესო და მრავალფეროვანია. იგი ცოცხლად ეხმაურება ორივე ხალხის ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს. შარშან მონაწილეობდა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ზეიმში, მოაწყო ასობით სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ღონისძიება.

● ჩეხოსლოვაკია

ამრავლებენ ტყის სიმდიდრეს

პრაღა. მომდინარე წელმა ჩეხოსლოვაკიის სატყეო მეურნეობის მუშაკები გაახარა ძვირფასი ჯიშების წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეების თესლის უხვი მოსავლით. მეტყევეებმა სოფლის ახალგაზრდობასთან ერთად დაამზადეს და ნანერგეების საცავებში გაგზავნეს ფიჭვის, ნაძვისა და ლარიჩის რამდენიმე ასეული ტონა თესლი, 500 ტონა რკო და 50 ტონა წიფლისა და სხვა ფოთლოვანი ხეების თესლი. საპეციალისტთა გაანგარიშებით, მოკრეფილი მოსავალი უზრუნველყოფს ტყის სანერგეების საჭიროებას უახლოესი ხუთი წლის მანძილზე.

●ვიეტნამი

ვითარდება ტრანსპორტი

ჰანოი. შარშან დინამიკურად ვითარდებოდა ტრანსპორტი — ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკის დიდმნიშვნელოვანი“ დარგი. ნავსადგურებისა და საჰაერო ტრასების მუშაკთა, რკინიგზელთა აწყობილი და რიტმული მუშაობა მიზნად ისახავდა ყოველმხრივ დაეკმაყოფილებინათ მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ეროვნული თავდაცვის, მოსახლეობის მოთხოვნილებანი.

ვიეტნამის კომპარტიის V ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ხუთწლედის (1981-1985 წლები) დავალებათა შესრულებისათვის დარგში ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულები გახდნენ საზღვაო ტრანსპორტის მუშაკები. მათ 14 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს გადაზიდვათა მოცულობის გეგმა. კარგად იმუშავეს დოკერებმაც. მათ უზრუნველყვეს საბჭოთა კავშირიდან, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებიდან ვიეტნამსა და ინდოჩინეთის სხვა ქვეყნებში ტვირთის დროული მიტანა.

სწრაფად ფართოვდება ვიეტნამის გზატკეცილების ქსელი, რომლებიც 1982 წელს გაიყვანეს მთელ რიგ მთიან და ძნელად მისადგომ რაიონებში.

● აშშ-საბერძნეთი

ძნელი მოლაპარაკება

ათენი. აქ გაიხსნა საბერძნეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკების მესამე რაუნდი საბერძნეთის ტერიტორიაზე მომავალი ოთხი უდიდესი ამერიკის სამხედრო ბაზის საკითხზე.

მოლაპარაკება დაიწყო 1982 წლის 27 ოქტომბერს. მოლაპარაკება გამოიწვია იმან, რომ ამერიკელთა მიერ საბერძნეთის ბაზების გამოყენების შესახებ 1953 წელს საბერძნეთ-ამერიკის შეთანხმებას ვადა გაუვიდა ექვსი წლის წინათ და საბერძნეთის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ობიექტები და სხვა ნაგებობები დროებით საფუძველზე მოქმედებენ. ამასთან დაკავშირებით რეიგანის ადმინისტრაცია და ნატოს ზედაფენები უკვე დიდი ხანია გავლენას ახდენენ საბერძნეთის მთავრობაზე, რათა შეინარჩუნონ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტები, განამტკიცონ ეს ახალ შეთანხმებაში.

როგორც აქ აღნიშნავენ, მოლაპარაკების მსვლელობას არ შეიძლება დაღი არ დასცეს საბერძნეთის მთავრობის უკმაყოფილებამ, რომელიც გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ბაზების შესახებ შეთანხმების დარღვევამ. საქმე ეხება ბოლო დღეებში საბერძნეთის კრეტის კუნძულზე სუდის აეროდრომზე ამერიკული სამხედრო თვითმფრინავების უკანონო დაჯდომას. კუნძულს პენტაგონი აყენებს, როგორც ერთ-ერთ თავის ბაზას. ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალები თვითმფრინავები საბერძნეთის ხელისუფალთა წინასწარი ნებართვის გარეშე ჯდებოდნენ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ი. კასსისმა ამერიკის შეერთებული შტატების ათენელ ელჩს მ. სტერნს „ენერგიული პროტესტი“ განუცხადა.

საბერძნეთ-ამერიკის მოლაპარაკების განახლებასთან დაკავშირებით მრავალ ქალაქში აწყობა მიტინგები და დემონსტრაციები. მათი მონაწილენი მტკიცედ მოითხოვენ საბერძნეთში ყველა ამერიკული სამხედრო ობიექტის ლიკვიდაციას. მშვიდობის მომხრენი აცხადებენენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნა ქვეყანაში საფრთხეს უქმნის ქვეყნის უშიშროებას.

● აშშ- იაპონია

გადაწყვიტეს განაგრძონ დისკუსია

ვაშინგტონი. თეთრ სახლში პრეზიდენტ რეიგანსა და აქ ოფიციალურ ვიზიტად მყოფ იაპონიის პრემიერ-მინისტრ ი. ნაკასონეს შეხვედრის დროს მხარეებმა ვერ დაძლიეს მათი გამოთქმული წინააღმდეგობანი და წინასწარი გეგმების საწინააღმდეგოდ გადაწყვიტეს განაგრძონ დისკუსია. შეხვედრის დამთავრების შემდეგ, რომელშიც აგრეთვე მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცეპრეზიდენტი ჯ. ბუში, სახელმწიფო მდივანი ჯ. შულეი, თავდაცვის მინისტრი კ. უაინბერგერი და სხვა ამერიკელი ხელმძღვანელები, რეიგანმა განაცხადა, რომ მან და ნაკასონემ განიხილეს „თავდაცვისა და ვაჭრობის ძალზე რთული პრობლემები“.

როგორც ცნობილია, სწორედ ამ დარგებში იყრის თავს მთავარი უთანხმოება ვაშინგტონსა და ტოკიოს შორის. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა კორესპონდენტებს განუცხადა, „ძალზე გულახდილი“ მოლაპარაკების დროს რ. რეიგანი და კ. უაინბერგერი დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ იაპონიამ „სასწრაფო ღონისძიებანი განახორციელოს“ თავისი საომარი მზადების აქტივიზაციისათვის.

„ბოლო დროს, — ამბობს ერთ-ერთ ამერიკელ ოფიციალურ პირი, — ეს ორ ქვეყანას ერთმანეთს ერთ-ერთ ასეთ ადგილზე ვერ ვიყენებ“. ამ ადგილზე ამერიკელ ოფიციალურ პირს ეგულისხმა ის, ოფიციალურ ტოკიოს ეს ადგილი ეკავა, „ეს ადგილი“ ეს ... ...

ასოგბით სტუდენტი სარგებლობს სამხრეთ ოსეთის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის წიგნსაცავით, რომლის ფონდში დაცულია 175 ათასზე მეტი სასწავლო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო-პოპულარული და მხატვრული ლიტერატურა,, დაახლოებით ორასი დასახელების პერიოდული გამოცემები ოსურ, ქართულ, რუსულ ენებზე.

სტუდენტებს, ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს არსებითს დახმარებას უწევს ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტი „სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“.

სურათზე: პირველკურსელები ლია აჩმაზოვა და მადინა გაბარაევა გამოცდებისათვის ემზადებიან.

ლ. გუსოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წიგნის თარო

საქართველოს თევზები

პროფესორ ვლადიმერ შარგაშიძის ვრცელი მონოგრაფია „საქართველოს თევზები“ (გამომცემლობა „განათლება“) განკუთვნილია საზოგადოების ფართო წრისათვის და ამასთან წარმოადგენს სახელმძღვანელოს ბიოლოგიის პროფილის სტუდენტებისათვის იქთიოლოგიაში სპეციალურსებისა და სასწავლო-საველე პრაქტიკების საკურსო და სადიპლომო შრომების შესასრულებლად.

მონოგრაფიაში განხილულია საქართველოს წყალსატევებში გავრცელებული თევზების 48 ოჯახი, 92 გვარი და 156 ფორმა. პირველად არის მოცემული როგორც მტკნარი წყლების, ისე საქართველოს შავი ზღვის თევზების ერთიანი სარკვევი ტაბულები, ცალკეულ სახეობათა თუ ქვესახეობათა გეოგრაფიული გავრცელება, ბიოლოგია, გამრავლება-განვითარება და სამეურნეო მნიშვნელობა.

ავტორი სამართლიანად მიგვანიშნებს, იმ დიდ დამსახურებაზე, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში იქთიოფაუნის შესწავლის დარგში მიუძღვით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტს, თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილებას, თბილისის უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების ზოოლოგიის კათედრებს. საყურადღებოა, რომ ლიტერატურულ წყაროებთან ერთად ავტორს ფართოდ აქვს გამოყენებული მის მიერ 27 წლის მანძილზე ჩატარებული საქართველოს თევზების ფაუნისტიკური და ბიოლოგიური გამოკვლევები. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მტკნარ წყლებში თევზთა გამრავლების ეკონომიკური ჯგუფები და ვადები.

სარეცენზიო ნაშრომის მნიშვნელობა ერთიანად გაზრდილია დღეს, როდესაც დიდი ყურადღება ეთმობა შიგაწყალსატევებში თევზების მოშენება-მომრავლების საქმეს, როგორც სასურსათო პროგრამის განხორციელების ერთ-ერთ ქმედითს საშუალებას.

წიგნში მოყვანილია ჩვენი რესპუბლიკის დიდი რეზერვი თევზმოშენებისა და თევზჭერის განვითარების დარგში, მაგრამ ნათქვამია ისიც, რომ ისინი ჯერ კიდევ როდის რაციონალურად გამოყენებული. მარტო 300-ზე მეტი ტბისა და 14 წყალსაცავის 23 ათასამდე ჰექტარი საერთო ფართობიდან ჰექტარზე გაანგარიშებით შეიძლება მივიღოთ 300 კილოგრამამდე თევზი, მაგრამ ახლა ვიღებთ მეტად მცირეს. ავტორი სამართლიანად მიუთითებს საქართველოს წყალსატევების ოპტიმალურ პირობებზე და მთის მდინარეებში კალმახ-ორაგულის მოშენება-მომრავლებაზე. თუ იქ მეცნიერულ დონეზე განხორციელდება ყველა საჭირო ღონისძიება, მაშინ ასი ათასი ცენტნერით გაიზრდება ყველაზე უფრო ძვირფასი თევზის პროდუქტი. სამართლიანად არის აღნიშნული, რომ ასეთ ადგილებში საჭიროა მოვაწყოთ როგორც დიდი, ისე მცირე სიმძლავრის თევზსაშენები და საამქროები, რაც ხელს შეუწყობდა ჩვენს მთიან რაიონებში ადგილობრივი მცხოვრებლების დასაქმებას.

მეტად საინტერესოა საქართველოს წყალსატევების ფონდის, მისი ლანდშაფტურ-გეოგრაფიული განლაგების და ლიმნოლოგიური დახასიათება, მათი მობინადრეების ბიოლოგიის განზოგადება | და ფართო ანალიზი. საყურადღებოა, რომ ყველაფერი ეს განხილულია გარეშე ეკოლოგიური პირობების გარჩევით, ტოპოლოგიური დაჯგუფებით, ფართოდ არის გამოყენებული ლიტერატურული წყაროები და, რაც მთავარია, ავტორის მიერ ჩატარებული საფუძვლიანი გამოკვლევათა შედეგები.

ავტორი კარგად აშუქებს საქართველოს თევზების სისტემატიკურ შედგენილობას და მის საფუძველზე გვაცნობს წყალსატევების ამ მობინადრე ორგანიზმების დამახასიათებელ ნიშნებსა და ბიოლოგიურ თავისებურებებს. სულ განხილულია 156 სახეობის თევზი, რაც ამ წიგნის უაღრესად დიდ და მდიდარ მასალაზე მეტყველებს. მსოფლიოში თევზები 22 ათასზე მეტი სახეობითაა წარმოდგენილი და ისინი ხერხემლიან ცხოველთა ნახევარს შეადგენენ.

კარგია, რომ წიგნს დართული აქვს თევზების ქართულ-რუს ულათინური სახელწოდებანი. მისი ცოდნა საჭიროა არა მარტო სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის არამედ სახალხო მეურნეობის დარგების და, კერძოდ, სავაჭრო ქსელის მუშაკებისთვისაც. სამწუხაროდ, ზმირად ნახავთ მაღაზიებში ასეთ ქართულ წარწერებს: იყიდება „საზანი“, ქართულად — კობრი, „ოკუნი“, ქართულად — ქორჭილა, „ლეში“, კაპარჭინის მაგივრად, „სუდაკი“ ფარგას ნაცვლად და სხვა. ზოგჯერ ასე დაუდევრად გამახინჯებთ ქართულ ენას და ვივიწყებთ თევზების ქართულ სახელებს. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ხალხმა სალამურა დაარქვა მრგვალპირიანთა წარმომადგენელს მისი სხეულის ცილინდრული ფორმისა და სალამურისებური ლაყუჩების ნაჩვრეტების გამო. არც ერთ ენაზე არ არსებობს ასეთი მოხდენილი სახელი. სამწუხაროდ, სახელმძღვანელოებსა და პრესაში დაბეჭდილ მასალებში სალამურას მაგივრად ნახმარია მისი რუსული სახელი „მინოგა“.

ვფიქრობთ, სარეცენზიო წიგნი „საქართველოს თევზები“ კარგი შენაძენია ქართული სისტემატიკური ზოოლოგიისათვის. ცხადია, სახელმწიფო გამომცემლობა „განათლებამ“ კარგი და სასარგებლო საქმე გაკეთა ამ დიდი მონოგრაფიის დასტამბვით. ხოლო დასანანია მისი მცირე ტირაჟი (ათასი ცალი), მოთხოვნილება კი ამ წიგნზე მეტად დიდია. პრაქტიკულად ეს წიგნი მაღაზიებში თითქმის არ არის. ამიტომ სასურველია მისი განმეორებით გამოცემა და, რა თქმა უნდა, უფრო დიდი ტირაჟით.

ცხადია, წიგნი დაზღვეული არ არის ზოგიერთი უზუსტობისა და შეცდომისაგან, მაგრამ ეს ვერ ჩრდილავს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ამ წიგნს აქვს მკითხველთა ფართო წრეებისათვის.

დ. ჯიბლაძე,
ე. ბალავაძე,
დოცენტები.

ᲥᲕᲐᲠᲘᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ?

ᲡᲐᲛᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘ ᲨᲔᲛᲬᲘᲠᲐ

შარშან დეკემბრის უკანასკნელ დღეს სოფელ ბანოჯასთან შუადღისას „ეიგული“ შეეჯახა სატვირთო ავტომობილს. მსუბუქ ავტომანქანაში მჯდომი სამი კაცი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ორმა სხეულს დაზიანება მიიღო და საავადმყოფოში მოათავსეს.

„ეიგული“ ეკუთვნის წყალტუბოს ზონის სოფელ რიონის მცხოვრებს, პენსიონერ ლიდა იასონის ასულ თუთბერიძეს და მონდობილობით მართავდა მისი შვილიშვილი სიმონ ნოდარის ძე თუთბერიძე.

19 წლის ს. თუთბერიძე სოფელ რიონის კოლმეურნეობაში მუშაობს. მას ავტომანქანის მართვის მოწმობა ერთი თვის აღებული ჰქონდა და, გასაგებია, გამოუცდელია. ტექნიკურად გაუმართავი მანქანა პროფესიონალმა მძღოლმაც კი არ უნდა გამოიყენოს ტრასაზე, და მით უფრო — ახალბედამ. იმ საბედისწერო დღეს წვიმდა. სველ გზაზე საეჭვოლატაციოდ უვარგისი, საბურავგაცვეთილი მანქანით გამოსვლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. ს. თუთბერიძე უსწრებდა წინ მიმავალ ავტომანქანას, ვერ უზრუნველყო უსაფრთხო მოძრაობა, გადავიდა საგალი ნაწილის შეუხვედრი ზოლის მარცხენა მხარეს და შეეჯახა საპირისპირო მიმართულებით მოძრავ სატვირთო ავტომანქანას.

გარდაიცვალა ჯან-ლონით სავსე სამი კაცი: სოფელ რიონის კოლმეურნეობის ბრიგადირები ივოელ სულაქველიძე, ოთარ მამრეკაშვილი და ფიზიკულტურ ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი ხვიჩა სულაქველიძე.

აი, რა მოსდევს მოძრაობის წესების უგულებელყოფას და გაუმართავი მანქანით სიარულს.

ბ. ბორელი.

ᲡᲐᲥᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲙᲐᲚᲐᲗᲝᲑᲡᲢᲘᲡ. მოსკოვში გაიმართა ორი მატჩი — რონკეტის თასის (ქალები) და კორაჰის თასის გათამაშებათა (ვაჟები) მეოთხეფინალური ტურნირების შეხვედრები. მოსკოვის ოლქის „სპარტაკის“ ქალთა გუნდმა დაამარცხა ბელგრადის „პარტიზანი“ — 84:64, მოსკოვის დინამოელმა ვაჟებმა კი მოუგეს „მონაკოს“ — 86:85.

ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲝᲠᲢᲘ. ვენესუელაში დამთავრდა ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლა „ტაჩირა“. საბოლოო გამარჯვება მოიპოვა ვენესუელელმა მარიო მედინამ. მან 1221-კილომეტრიანი ტრასა დაფარა 32 საათში, 14 წუთსა და 48 წამში. ლენინგრადელმა ალექსანდრე კრასნოვმა მესამე ადგილი დაიკავა — 32:19.45. მეორე იყო კოლუმბიელი მარტინ რამირესი — 32:17.02.

ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ. სვერდლოვსკში ადგილობრივმა „ურალოჩკამ“ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მორიგ კალენდარულ მატჩში უმასპინძლა იტალიის „ოლიმპიატეოდორას“. ქალთა გუნდების ეს შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:2.

ᲤᲘᲖᲙᲣᲠᲗᲘ. ლენინგრადში დამთავრდა დამმობილებული ქალაქების საერთაშორისო შეჯიბრება. ქვეჯგუფებში გამართული ბოლო ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: გდინიას „ბალტიკა“-ტურკუს „ტურუნ პალოსეურა“ — 4:0, ლენინგრადის ახალგაზრდული ნაკრები-პლოვდივის „თრაკია“ —3:2. პირველ ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გამოვიდა ლენინგრადის „ზენიტი“, მეორეში — ლენინგრადის ახალგაზრდული ნაკრები. ამ გუნდების ფინალურ შეხვედრაში გაიმარჯვა „ზენიტმა“ — 4:1.

ᲞᲐᲓᲠᲐᲯᲘ. ბაქოში დამთავრდა გოგონათა საკავშირო პირველობა. ფრუნზელმა ს. მატვეევამ 7,5 ქულით ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. მეორე-მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს კიეველმა ე. სედინამ და ვილნიუსელმა კ. ბაგინსკაიტემ.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲡᲐᲐᲗᲘ!

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი. თბილისის „დინამომ“ უმასპინძლა რიგის ვეფს. შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით, ანგარიშით 77:75.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲓᲘᲐ, (საკ. კორ.). კარგი საჩუქარი მიიღეს ქალაქის მცხოვრებლებმა. რეკონსტრუქციის შემდეგ საექსპლოატაციოდ გადაეცა კინოთეატრის შენობა. მისი სამუშაოები დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულეს საქინორემმონტაჟის ქუთაისის სარემონტო უბნის მშენებლებმა.

კინოთეატრი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. პირველ დღეს უჩვენეს ახალი ქართული მხატვრული ფილმი „გამოაღეთ ფანჯრები“.

ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲝ ᲫᲚᲔᲚᲘ

ᲒᲐᲚᲘᲡ რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის ი. ბ. სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში დამონტაჟდა ახალი ავტომატური სატელეფონო სადგური, რომელიც ორასი აბონენტისთვის არის გათვალისწინებული.

მალე ამგვარი სადგურები დაიდგმება აგრეთვე სოფლებში — თაგილონსა და მუხურში.

რედაქტორი
ბ. ᲑᲔᲓᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ



ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აკადემიკოსი იან სტრადინი“. 10.00— „მოამბე“. 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გაუფრთხილდით მიწას“. 11.25 — „მოგზაურთა კლუბი“ (მ.). 12.25 — მხატვრული ფილმი „პეტროგკა-38“. 13.55 — სატელევიზიო დადგმა „აპრილი“. 15.35 — „საბჭოთა სახვითი ხელოვნება“ (მ.). 16.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ხსოვნის ჩანჩქერები“. 16.30 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის კონსტიტუცია. 17.00 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა. 17.30 — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის გამო — გადაცემა „თეატრი და ბავშვები“. 18.30 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე. 19.15 — „ღვაწლმოსილი მეცნიერი“ გ. ფიცხელაური (დაბადების 75 წლისთავის გამო). 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — კინონარკვევი. 20.50 — ქართველ ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — ქართული მხატვრული ფილმი „სინემა“. 23.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კოლა ბრუნიონი“. 17.45 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია. 18.55 — მხატვრული ფილმი „ულვაშა ძიძა“. 19.30 — მულტიპლიკაციური ფილმი „მამაცობა ადვილი როდია“. 19.45 — განცხადებები.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 25 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დიდი გზა“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „სამი ფურცელი რობოტების შესახებ“. 11.30 — ქართული მხატვრული ფილმი „სინემა“. 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ედუარდ ტისე“. 14.25 — „იცით თუ არა თქვენ კანონი“ (მ.). 15.10 — სატელევიზიო დადგმა „დუმთავრებელი სიმფონია“. 16.50 — კინოჟურნალი. 17.00 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.55 — ახალგაზრდობისათვის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის. „ლიტერატურული ექსკურსია“. 18.20 — კონცერტი. 18.50 „ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბორანი“. 19.10 — „პოეზია“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „საერთაშორისო დღიური“. 21.00 — „ქართული კინოს ოქროს ფონდიდან“ — „ქართული დოკუმენტური კინო დიდი სამამულო ომის პერიოდში. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — მხატვრული ფილმი „ჩვენ, ქვეყნიერ ხელოსნებმა“. I სერია. 23.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გვეძებეთ მთებში“. 17.40 — მოსწავლეთათვის — გეოგრაფია. 18.25 — მხატვრული ფილმი „პატარა მუშაითი“. 19.45 — განცხადებები.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პარი პოიერის ყოველი დღე“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — მხატვრული ფილმი — „ჩირდაც არ მიღირს“. 12.05 — „კობახიძის სკოლა“ — სატელევიზიო ნარკვევი საბჭოთა კავშირის სახალხო მასწავლებლის გ. კობახიძის შესახებ. 12.40 — კინონარკვევი. 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 13.30 „შემოქმედებითი პორტრეტები“— სერგი შილაია (განმეორებით). 14.10 — სატელევიზიო ფილმსაგეტაკელი „მილიონერი ქალი“, I და II სერია. 16.45 — „საკავშირო სამხატვრო გამოფენა“ — „მხატვრები — ხალხს“ (მ.). 17.15 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.45 — განცხადებები. 17.50 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „უხეირო დათუნია“. 18.05 — მოსწავლეთათვის— კონცერტი. 18.40 — კინონარკვევი. 18.55 — „ამაგდარი“ — გ. ცერცვაძე. 19.20 — „ცეროდენას ეკრანი“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „სპორტული კალეიდოსკოპი“. 21.20 — „ოქროპირი“ — სატელევიზიო სატრულე-იუმორისტული ჟურნალი. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — მხატვრული ფილმი — „ჩვენ, ქვეყნიერ ხელოსნებმა“. II სერია. 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბახარგული“. 17.15 — მხატვრული ფილმი „მოწმე დაიკარგა“. 18.45 — მოსწავლეთათვის— ქართული ლიტერატურა. 19.30— განცხადებები.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მუდამ მოვალენი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საქართველოს შრომითი ხალხური სიმღერები“. 11.00 — მეხუთე კლასის მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 11.30 — მხატვრული ფილმი „მოწმე დაიკარგა“. 13.00 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია. 13.30 — სატელევიზიო დადგმა „ანგელის ქუჩა“. I სერია. 15.10 — მხატვრული ფილმი „ფოტოგრაფის ჩვენება“. 16.20 — კონცერტი. 17.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.30 — მოსწავლეთათვის — „წიგნი ჩვენი მეგობარი“. 18.20 — „ტყვიაველი კომუნისტები“. 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმი — „მოდი საციგურაოდ“. 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (მ.). 19.30 — კინონარკვევი. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.50— „დიადი ხალხის სამართლე“ — პრემიერა სატელევიზიო დოკუმენტური ფილმისა „ადამიანის უფლება ცხოვრებაზე“ (წამყვანი — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვ. ტიხონოვი (მ.). 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — „მეგობრების ეკრანი“ — მხატვრული ფილმი „კაცი ლონდონიდან“. 00.10 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმი „მანათობელი ბუშტი“. 17.15 — მხატვრული ფილმი „ჩირადაც არ მიღირს“. 18.45 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია. 19.30 — განცხადებები.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მარად ახალი ქალაქი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — დოკუმენტური ფილმი „ოსტატის დაბადება“. 11.25 — „მეგობრების ეკრანი“ მხატვრული ფილმი „კაცი ლონდონიდან“, 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი. 13.30 — სატელევიზიო დადგმა „ანგელის ქუჩა“. II სერია. 15.00 — „კომუნისტის სახე საბჭოთა სახვითის ხელოვნებაში“ (მ.). 15.30 — „კინოეპოპეა“ — „დიადი სამამულო“. „მოკავშირეები“ (მ.). 16.20 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.00 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 17.30 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის — „ცვლა“. 18.05 — „ხალხური შემოქმედება“ — „გასტროლების შემდეგ“. 18.55 — „ხუთწლეედი წელი მესამე“. 19.35 — კინონარკვევი. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „ქართული თეატრის ზეიმი თელავში“. 21.55 — „საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე“. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — „ქართული თეატრის ზეიმი თელავში“ (გაგრძელება). დასასრული — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „სიცოცხლის ხე“ და „ქალაქის სიჭაბუკე“. 17.50 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა. 18.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვისიმსკის ნაკრძალი“. 18.35 — მოსწავლეთათვის — ხაზვა. 19.20 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა“. 19.45 — განცხადებები.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 29 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საუკუნე ფვავილებთან“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — შევისწავლოთ ქართული ენა. 11.00 — დილის გასართობი პროგრამა. 11.35 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 11.40 — „ქართული ეკრანის რსტატები“ — გრიგოლ ტყეშლაძე (ბანმეორებით). 12.40 — „საბჭოთა არმიის მეოცეწლეულთან“. „სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე“ — სატელევიზიო ჟურნალი. 13.25 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 13.30 — „თქვენი თხოვნით“ — კონცერტი. 14.20 — „ბუნების კარი“. 15.10 — „ბალეტის მოგვარულთათვის“. 16.05 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 16.10 — „რედაქციაში წერილი მოვიდა—ექო“. 16.50 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 16.55 — „თვალთაი“ — სატელევიზიო ჟურნალი. 17.40 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 17.45— „მეცხრე სტუდია“ (მ.). 18.45 — მოსწავლეთათვის — „ფუსიკის მოგვარულთა კლუბი“. 19.45 — „ამაგდარი“ — ვასილ თავართქილაძე. 20.00 — „მოამბე“. 20.30 — ახალგაზრდობისათვის — „გაუმარჯოს გულახდილობას“. 21.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „საგზაო ზღაპარი“. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — ლირიკული კონცერტი. 23.00 — „გასვენება“ — ეროსი მანჯგალაძე.

ᲙᲕᲘᲠᲐ, 30 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მწვრთნელები“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი—სიახლენი, პრობლემები“. 11.45— მულტიპლიკაციური ფილმი „როგორ მიაქონდათ მაგიდა“. 12.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.). 12,45 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი (სტუდიაშია დოცენტი თ. კვაჭანტირაძე). 13.15 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მულტიპლიკაციური ფილმი „მესამე პლანეტის საიდუმლოება“. 14.05 — „ხალხური შემოქმედება“ — სიმღერის შესწავლა („რაჭული სუფრული“). 14.40 — „კინოაფიშა“. 15.10 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან. 15.55 — „ჩვენი ლაშქარი“ — გ. ხაბულიანი. 16.20 — საესტრადო კონცერტი. 17.05 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა. 17.35— „ფილმი, მსახიობი, როლი“. 19.45 — „მოამბე“. 20.15 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.). 21.00 — „ზღაპრის გუდა“. 21.15 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — „საფეხბურთო მიმოხილვა“ (მ.). 23.05 — ახალგაზრდობისათვის — „საზღვარგარეთის ესტრადის რიტმები და მელოდიები (მ.).

ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ



ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა“. 8.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.). 9.25 — „ეროვნული ფესვები“. 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დიდი გზა“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „სამი ფურცელი რობოტების შესახებ“. 11.30 — ქართული მხატვრული ფილმი „სინემა“. 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ედუარდ ტისე“. 14.25 — „იცით თუ არა თქვენ კანონი“ (მ.). 15.10 — სატელევიზიო დადგმა „დუმთავრებელი სიმფონია“. 16.50 — კინოჟურნალი. 17.00 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.55 — ახალგაზრდობისათვის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის. „ლიტერატურული ექსკურსია“. 18.20 — კონცერტი. 18.50 „ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბორანი“. 19.10 — „ეროვნული ფესვები“. 19.45 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „საერთაშორისო დღიური“. 21.00 — „ქართული კინოს ოქროს ფონდიდან“ — „ქართული დოკუმენტური კინო დიდი სამამულო ომის პერიოდში. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — მხატვრული ფილმი „ჩვენ, ქვეყნიერ ხელოსნებმა“. I სერია. 23.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გვეძებეთ მთებში“. 17.40 — მოსწავლეთათვის — გეოგრაფია. 18.25 — მხატვრული ფილმი „პატარა მუშაითი“. 19.45 — განცხადებები.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა“. 8.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.). 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — პ. სარასატე. სავიოლინო პიესები. 11.15 — „პარტიული ცხოვრება“. საუბარი „პარტიული კრების გადაწყვეტილება. 11.30 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა. 12.10 — „ნაშუადღევს“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.30 — „ლიტერატურული კითხვა“. გ. შატბერაშვილი „მკვდრის მზე“. 14.05 — კონცერტი ს. ნასიძის ნაწარმოებებიდან. 15.00 — — ი. დრუნინის ლექსები (მ.). 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 17.35 — მოსწავლეთათვის. „წიგნის თარო“. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“. 19.20 — ს. ბარბერი. ადაჟიო. 19.40 — ეკრანის მელოდიები. 20.30 — „თეატრი და ცხოვრება“. მიმოხილვა (მ.). 21.45 — მ. კალასის კონცერტი. 23.30 — — კონცერტი. ფ. ლეგარის ნაწარმოებები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა“. 8.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.). 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — მელერის აფანასიევის ნანგაზმულთა ეთნოგრაფიული დამსახურებული ანსამბლი „ნართაა“. 11.15 — „აღეუზარდოთ მამულსა შვილი“. რადიონარკვევი „კლასის ხელმძღვანელი“. 11.30 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა. 12.20 — „კომუნისტები“. ნარკვევი „ბამა-პაპათა ნაკვალევზე“. 12.35 — მელერის თ. გვერდწინელი. 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე. 12.50 — „სცენის ოსტატები“. სცენა სპ